პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა

როგორ ავამაღლოთ მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში

შუახევის მუნიციპალიტეტის სოფ. ტაკიძეების საჯარო სკოლის
გეოგრაფიის მასწავლებელი ნარგიზ ქათამაძე

2018–2019 სასწავლო წელი

სარჩევი

შესავალი.....2

თავი I
საკვლევი საკითხის მიმოხილვა
1.1 მოკლე ინფორმაცია სკოლის
შესახებ.....4

1.2 საკვლევი საკოთხის
ამოცნობა;.....5

1.3კვლევისმიზანი.....6

1.4. კვლევის ამოცანა 7

1.5. კვლევის
ეტაპები.....7

თავი II
პრაქტიკული კვლევის
არსი.....7

თავი III
3.1ლიტერატურის მიმოხილვა.....8

თავი IV .
მეთოდოლოგია
4.1 რატომ არის მნიშვნელოვანი მშობელთა ჩართულობა სასწავლო
პროცესში.....11

4.2 კვლევის სამიზნე
ჯგუფი.....11

4.3. გამოყენებული
მეთოდები.....11

4.4კვლევის
გეგმა.....12

4.5მონაცემთა
შეგროვება.....12
4.6 კვლევის
ვადები.....13

თავი V

კვლევის შედეგები;

5.1 გამოკითხვის შედეგების
ანალიზი.....14
5.2 კვლევის
მიგნებები;.....24

თავი VI .

6.1ინტერვენციის
აღწერა.....24
6.2 განხორციელებული
ინტერვენციები.....25
6.3რეკომენდაციები.....26
6.4ინტერვენციის
შეფასებები:.....27
6.5ინტერვენციის შეფასება
დირექტორი.....27

თავიVII

7.1გაზიარება,რეფლექსია, რეკომენდაციები და კვლევის
ნაკლოვანებები.....28
7.2დასკვნა.....30
7.3დანართი1.....31
7.4დანართი2.....33
7.5დანართი3.....35
7.6გამოყენებულილიტერატურა.....37

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს შუახევის მუნიციპალიტეტის ტაკიძეების საჯარო სკოლაში განხორციელებული პრაქტიკული კვლევის ანგარიშს. საკუთარი პედაგოგოგიური პრაქტიკის კვლევა განახორციელა ამავე სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელმა ნარგიზ ქათამაძემ სკოლაში შექმნილ პედაგოგთა ჯგუფთან ერთად.

ნაშრომი შედგება შვიდი თავისაგან:

I თავში მოცემულია ინფორმაცია სკოლის შესახებ, საკვლევი საკითხის მიმოხილვა, კვლევის მიზანი და ამოცანები.

II თავი ეხება პრაქტიკული კვლევის არსს და მის პრაქტიკაში დანერგვას.

III თავში მოცემულია სხვადასხვა ავტორის მოსაზრებები ,,მშობელთა როლსა და ჩართულობაზე სასკოლო ცხოვრებაში"

I V თავი მოიცავს ინფორმაციას კვლევის მეთოდოლოგიისა და პროექტის ვადების შესახებ.

V თავი ეხება კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგების ანალიზს.

VI თავში განხილულია ინტერვენციის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების ეტაპები.

VII თავში აღწერილია კვლევის ჯგუფის მიერ შდეგების გაზიარება - რეფლექსია, რეკომენდაციები და კვლევის ნაკლოვანებები, დასკვნა.

I თავი
საკვლევი საკითხის მიმოხილვა

1.1 მოკლე ინფორმაცია სკოლის შესახებ

პრაქტიკული კვლევა ჩატარდა შუახევის მუნიციპალიტეტის ტაკიძეების საჯარო სკოლაში.

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, დაწყებითი საფეხური განსაზღვრულია I-VI კლასის ჩათვლით. სწავლება I-IV კლასებში არ მიმდინარეობს საგნობრივად, ძირითადი დატვირთვა მოდის კლასის დამრიგებელზე, იგი ასწავლის ქართულს, მათემატიკას, ბუნებისმეტყველებას, ხელოვნებასა და სპორტს. მუსიკას და უცხო ენას კი ჰყავს სხვა მასწავლებლები. ხოლო V-VI კლასებში და საბაზო საფეხურზე მიმდინარეობს საგნობრივად. ტაკიძეების საჯარო სკოლაში სწავლობს 10 მოსწავლე. მათ შორის დაწყებით კლასებში, კერძოდ მესამე კლასში 1 მოსწავლეა, მეხუთეში 1 მოსწავლე და მეექვსეში 2 მოსწავლე. ხოლო საბაზო საფეხურზე სულ 6 მოსწავლე სწალობს, მათ შორის ჩემს სადამრიგებლო მეშვიდე კლასში კი სამი. სკოლის დაქვემდებარებაშია დაწყებითი სკოლა I-IV კლასი , სადაც

სწავლობს 12 მოსწავლე. ორივე სკოლაში 22 მოსწავლეა და 18 მასწავლებელი. სკოლას ჰყავს 1წამყვანი და1უფროსი მასწავლებელი, ფასილიტატორი, შეფასების ჯგუფი, რომლებიც გადიან ტრენინგებს და თანამშრომლობის ფარგლებში პერიოდულად თავადაც აწვდიან ინფორმაციას სკოლაში მასწავლებლებს. სკოლა აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით, საშუალებას იძლევა ხარისხიანად წარიმართოს სწავლა-სწავლების პროცესი.

1.2. საკვლევი საკითხის ამოცნობა

ეროვნული სასწავლო გეგმა სკოლას მთავარ მოვალეობად უსახავს სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეებს ჩამოუყალიბოს ფიქრისა და აზროვნების უნარ-ჩვევები, განავითაროს მათი ინიციატივები, აღძრას მათში ცნობისმოყვარეობა და პასუხისმგებლობა. სკოლა ოჯახის გარეშე უძლურია, ჩამოაყალიბოს პიროვნება, გადასცეს მას საფუძვლიანი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები. ამიტომ სკოლასა და საზოგადოებას შორის უნდა დამყარდეს აქტიური პარტნიორული ურთიერთობა, რითაც სკოლა შეძლებს, გააუმჯობესოს განათლების ხარისხი[1] (ეროვნული სასწავლო გეგმა).

წყაროების, უახლესი პროექტებისა და კვლევის შედეგების ანალიზმა გვიჩვენა, რომ სკოლის ცხოვრებაში მშობლების ჩართულობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა წარმატებისათვის. კვლევების თანახმად მოსწავლეები რომელთა მშობლებიც აქტიურად მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროცესში უკეთეს შედეგებს აღწევენ: იღებენ უკეთეს ნიშნებს, აქვთ უფრო მაღალი აკადემიური მიღწევები, მაღალია მათი დასწრების მაჩვენებელი და გამოირჩევიან პოზიტიური ქცევით, კეთილგანწყობილნი არიან სკოლის მიმართ და აქვთ საკუთარი თავისა და შესაძლებლობების რწმენა. (*G-PRIED „მშობელთა ჩართულობა „ (რეკომენდაციები დირექტორებისა და მასწავლებლებისათვის 2014 წ. გვ 4)*

სამწუხაროდ, ვერც სკოლა ასრულებს ზედმიწევნით თავის მოვალეობას, მისი კომუნიკაცია მშობლებთან მოსწავლის სწავლა– ქცევის ამსახველი ინფორმაციის მიწოდებითა და მშობელთა კრებებით შემოიფარგლება. ნაკლებად ინერგება ორმხრივი კომუნიკაციისათვის უფრო ეფექტური ფორმები, რითაც გამთლიანდებოდა სკოლას და ოჯახს შორის არსებული ხიდჩატეხილობა.

ამრიგად, პრაქტიკის ანალიზი მიუთითებს, დღეს სკოლა და ოჯახი ცალ-ცალკე ეწევა ჭაპანს, მათ შეთანხმებულ მუშაობაზე მხოლოდ დაწყებით საფეხურზე შეიძლება საუბარი, რაც შეეხება საბაზო და საშუალო საფეხურებს, ვერ ხერხდება მათი შესაძლებლობებისა და შეხედულებების დაახლოვება, რაც ნეგატიურად აისახება სკოლის სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობაზე:

1. მშობლის ფაქტორი უარყოფითად აისახება მოსწავლეთა გაცდენა-დაგვიანებებზე, სწავლისადმი მათ პასუხიმგებლობაზე, საკუთარი თავისა და შესაძლებლობების წარმოჩენაზე.
2. გასაკუთრებით საყურადღებონი არიან კონფლიქტურ და სტრესულ ოჯახურ გარემოში აღზრდილი მოსწავლეები, მათი სოციალური- ემოციური საჭიროებები ნეგატიურად აისახება მათ შედეგებზე.
3. მოსწავლეთა ერთი ნაწილი გამოირჩევა ცუდი ქცევით, კონფლიქტებით, სკოლისადმი უარყოფითი განწყობით.

4. ჩრდილი ადგება სკოლის იმიჯს, მცირდება საზოგადოების, თემის მხარდაჭერა სკოლის მიმართ, კნინდება მასწავლებლის ავტორიტეტი.

პირადი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევისას პრიორიტეტი მივანიჭე მშობლების სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის ხარისხის ამაღლების საჭიროებას. პრაქტიკიდან გამომდინარე ჩანდა, რომ მშობლები ნაკლებად იჩენდნენ ინიციატივას სკოლასთან ურთიერთობაში, ჩემი კლასის ბავშვებიდან ორს პრობლემური ოჯახი აქვთ: ერთი დედით ობოლია და მეორეს ოჯახში ბებია წყვეტს ბავშვებთან დაკავშირებულ საკითხებს.გარდა ამისა ეს პრობლემა იყო საბაზო საფეხურის დანარჩენ კლასებშიც, რადგან მშობლები დაწყებით საფეხურზე უფრო მეტ ყურადღებას იჩენდნენ ბავშვების მიმართ. სკოლას და მშობელს შორის კომუნიკაცია ხორციელდებოდა აუცილებლობის შემთხვევაში სატელეფონო საუბრებით, იშვიათი იყო ინდივიდუალური შეხვედრებით. მშობლების მხრიდან უკუკავშირი ნაკლებად ხორციელდებოდა. ეს აისახებოდა მოსწავლეთა შედეგებშიც.

შესაბამისად მიზნად დავისახე ჩამეტარებინა კვლევა არსებული პრობლემის მიზეზის დასადგენად, რაც დაგვეხმარებოდა პრობლემის გადაჭრის გზების დასახვაში და სარგებელს მოუტანდა სკოლას, მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს, კერძოდ

- მკვეთრად გაუმჯობესდება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება;
- გაიზრდება მოსწავლეთა მოტივაცია;
- მოსწავლეს ჩამოიუყალიბდება სკოლისადმი პოზიტიური დამოკიდებულება;
- გაუმჯობესდება დისციპლინა;
- გაიზრდება სკოლისა და მასწავლებლის ავტოროტეტი;
- გაიზრდება სკოლის დემოკრატიულობის ხარისხი;
- კვლევის შედეგებს მასწავლებლები გამოიყენებენ თავიანთ პრაქტიკაში;
- შეიქმნება პოზიტიური გარემო სკოლას, მშობელსა და მოსწავლეს შორის.

.

1.3 კვლევის მიზანი:

კვლევის მიზანია დავადგინოთ, რა როლს ასრულებს მშობელი ბავშვის განათლებასა და განვითარებაში; რა ფაქტორები განსაზღვრავს მშობლის ჩართულობას სასწავლო პროცესში და პირიქით, რა ფაქტორები უშლის ხელს მშობელს-იყოს ჩართული სასწავლო პროცესში. ასევე განვსაზღვროთ ინტერვენციები, რა შეიძლება გაკეთდეს, იმისათვის ,რომ უფრო მეტად იყოს ჩართული მშობელი სასწავლო პროცესში და შევაფასოთ დაგეგმილი ინვესტიციების ეფექტიურობა. იმის გამო რომ სკოლა საბაზო საფეხურიანია და თან მცირეკონტიგენტიანი დირექციასა და კლასის ხელმძღვანელებთან შეთანხმებით გადავწყვიტე კვლევა ჩამეტარებინა საბაზო საფეხურის სამივე კლასთან, ამასთან ორ კლასში ერთი და იგივე მშობელს ჰყავს ბავშვები.

1.4კვლევის ძირითადი ამოცანები

1. კვლევის დაგეგმვა, განხორციელება;
2. კვლევის მეთოდების და გზების განსაზღვრა;
3. მონაცემების შეგროვება მშობელთა ჩართულობის შესახებ;
4. მშობელთა ცნობიერების ამაღლება სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის მნიშვნელობის შესახებ;
5. სკოლის ღონისძიებებში, პროგრამებსა და პროექტებში მშობლების აქტიური ჩართვა;
6. სკოლის მართვაში, გადაწყვეტილებების მიღებაში მშობელთა აქტიური მონაწილეობა.

1.5 კვლევის ეტაპები:

1. ა. კვლევისათვის კითხვარების შემუშავება
   ბ. მოსწავლეებზე დაკვირება და ანალიზი;
2. ა. მშობელთა გამოკითხვა-ანკეტირება;
   ბ. მშობელთა მოსწავლეზე დახმარების ხარისხის დადგენა და ანალიზი;
3. მშობელთა სკოლაში ჩართულობის პრობლემის მიზეზები;
4. საერთო კვლევის შედეგების ანალიზი;
5. აქტივობები მშობლების აქტიური ჩართვა სასკოლო ცხოვრებაში;
6. განხორციელებული აქტივობების და ღონისძიებების შემდეგების გაცნობა სკოლისათვის.

IIთავი

პრაქტიკული კვლევის არსი

ჩემს მიერ ჩატარებული კვლევა გულისხმობს თანამშრომლობით, კოლექტიურ მიდგომას , საკვლევ საკითხთან დაკავშირებით. ეს მიდგომა დამეხმარება მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა შორის არსებული კავშირის გამყარებაში. რადგანაც მშობელსა და სკოლას შორის არსებული კავშირები უქმნის მყარ საფუძველს მოსწავლეებს უკეთესი შედეგების მიწევაში.კოლეგების გამოცდილების გაზიარებით და სათანადო ლიტერატურის გაცნობით შევძლებ დავეხმარო მშობლებს უფრო მჭიდრო კავშირი იქონიონ სკოლასთან და

ერთად მივაღწიოთ სასურველ შედეგს.სწორედ ამის შემდეგ ფასილიტატორთან და სკოლის დირექტორთან კონსულტაციის საფუძველზე, ჩამოვაყალიბე კვლევის ჯგუფი, რომელიც შედგებოდა:

- VII-IX კლასების მოსწავლეები და მათი მშობლები;
- ფასილიტატორი, რომელიც, ამავე დროს წამყვანი მასწავლებელია;
- მე-7-მე-9 კლასის დამრიგებლები;

აღსანიშნავია რომ ჯგუფის წევრებთან შეხვედრა დაახლოებით 2-3-ჯერ იმართებოდა.

თავი III

ლიტერატურის მიმოხილვა.

არა ერთი კვლევა ჩატარებულა და ლიტერატურა შექმნილა იმის შესახებ თუ რა უშლის ხელს ოჯახისა და სკოლის დაახლოებას. რა როლი აკისრია თითოეულ რგოლს პიროვნების სრულფასოვნად ჩამოყალიბებაში.

ბავშვს , მისი ზრდა- განვითარების ნებისმიერ საფეხურზე სჭირდება მშობლისაგან მხარდაჭერა, მხარდაჭერა ,,აქ და ამჟამად". ბავშვებს არ შეუძლიათ დიდხანს ელოდონ მშობლებს როდის,, მოიცლიან" ისინი მათთვის; აღმზრდელებს, როდის ,,ისწავლიან" ისინი აღზრდას. ბავშვებისთვის ყოველი დღე მნიშვნელოვანია, ისინი ხომ მუდამ ზრდისა და განვითარების პროცესში არიან და ზოგჯერ შეიძლება აღმოჩნდეს ,რომ შვილმა გაუსწრო განვითარებაში. აღმზრდელისათვის სრულიად აუცილებელია ნებისმიერ რთულ სიტუაციაში ზრდასრული ადამიანივით მოქცევა. მან უნდა შეძლოს მონაწილეობა მიიღოს ბავშვის ცხოვრებაში, შეასრულოს ყველა ის ფუნქცია რასაც მას მშობლის და მასწავლებლის როლში ყოფნა ავალდებულებს.(მასწ.წიგნი 9. ,,აღზრდა-ამოუწურავი თემა''გვ.204)

პედაგოგიური ლიტერატურის გაანალიზებისას ვცდილობდი, მომეძებნა პასუხი კითხვებზე: რა ძირითადი გამოწვევების წინაშე დგას სკოლა? რა ტიპის ცვლილებებია პიროვნების განვითარების კუთხით? როგორია სკოლისა და ოჯახის ახალი როლი ამ გამოწვევათა რეალიზებაში? სპეციალისტთა მოსაზრებების თანახმად , ტრადიციული სკოლისაგან განსხვავებით, სწავლა-სწავლების პროცესი აღარ არის რუტინული, არამედ ორიენტირებულია მოსწავლეზე, რომელიც სწავლის პროცესის აქტიური მონაწილეა;

მასწავლებელი არ არის დირექტიულ როლში (ტრადიციული სკოლისათვის მასწავლებელი იყო ინფორმაციის წყარო და ცდილობდა, თავში ჩაედო მოსწავლეებისათვის ინფორმაცია და აძლევდა მათ სავალდებულო მითითებებს), არამედ ის ფასილიტატორია, გზამკვლევია, მოსწავლის გააზრებული სწავლისა და თვითგანვითარებისათვის სტიმულის მიმცემია. ჰუმანისტური თეორიის წარმომადგენლები (აბრაამ მასლოუ და კარლ როჯერსი) ყურადღებას ამახვილებენ თანამშრომლობით სწავლებაზე, როგორც ერთ-ერთ საუკეთესო მეთოდზე. ასეთი მიდგომისას მცირდება მოსწავლის მასწავლებელზე დამოკიდებულების დონე, მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა, თავი დააღწიონ იზოლაციას, გარიყულობას, მოსინჯონ საკუთარი ძალები და შეაფასონ სხვების

შესაძლებლობები, განივითარონ კომუნიკაციური უნარები, რაც სწავლასა და თანაკლასელებთან ურთიერთობაში მათი წარმატების საფუძველი გახდება[2] (თეა ჯაღიაშვილი).

ბავშვები სკოლაში ოჯახებიდან მიდიან სკოლაში და შესაბამისად მათ უკვე გავლილი აღზრდის ოჯახური სტილის სპეციფიკური ,,კურსი“. საყოველთაოდ არის ცნობილი,რომ ადამიანის ძირითადი პიროვნული თვისებები სწორედ ოჯახში ყალიბდება. რაც არ უნდა კვალიფიციური პროფესიონალი პედაგოგი შეხვდეს ბავშვს, რომელსაც უკვე გარკვეული წარმოდგენა აქვს სიკეთესა და ბოროტებაზე, გამომუშავებული აქვს საკუთარი პოზიტიური და მავნე ჩვევები, ძალიან გაუჭირდება ცვლილებების შეტანა მის ღირებულებათა სისტემაში.დიმიტრი უზნაძეს მიაჩნია, რომ ,,აღმზრდელი ვერ მიაღწევს თავის მიზნებს, თუ არ ჩასწვდება ბავშვის ბუნებას“(მასწავლებლის წიგნი 9.ბავშვის ბუნების ფენომენი და აღზრდის პრობლემები.გვ.182-184)

თანამედროვე პედაგოგიკის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა აქტიური პოზიციისა და მაღალი ზნეობის მქონე პიროვნების ჩამოყალიბება. სამეცნიერო ლიტერატურაში პიროვნების 50–ზე მეტ განსაზღვრებას განიხილავენ. მათი ავტორები ვერ თანხმდებიან პიროვნების ცნების ამომწურავ განმარტებაზე, თუმცა გამოყოფენ პიროვნების შემდეგ ძირითად ასპექტებს: უნიკალურობასა და გამორჩეულობას, მაორგანიზებელ აქტივობასა და აქტივობის გარკვეულ ფიქსირებულ განწყობებს, პიროვნების განვითარების გარკვეული პერსპექტივასა და მიზნებს, მის გამორჩეულ სწრაფვას დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისაკენ[3](შოთა ნადირაშვილი).

მკვლევარები დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო პიროვნულ ნიშნებს სამ ჯგუფად ყოფენ:

1. **თვითმომსახურებისათვის** საჭირო თვისებები, რათა სკოლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდამ შეძლოს თავის დამკვიდრება– სამუშაოს მოძებნა ან სწავლის გაგრძელება, საჭიროების შემთხვევაში დაიქირაოს და მოაწყოს საცხოვრებელი გარემო;

2. **თვისებები**, რომლებიც საჭიროა ცხოვრებაში საკუთარი სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ორიენტაციების გამომუშავებისთვის. სკოლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდებს გამომუშავებული უნდა ჰქონდეთ მსოფლმხედველობა, სოციალური განწყობების სისტემა: დამოკიდებულება სინამდვილესთან, რელიგიასთან და თავისი თავის მიმართ. მათ იმდენი წარმოდგენა უნდა ჰქონდეთ სამართლის ნორმებზე, რომ არ არღვევდნენ კანონებს მათი უცოდინრობის გამო. ამასთან, უნდა ჰქონდეთ ელემენტარული წარმოდგენა ეკონომიკის საკითხებზე, რომ გარკვეული ინდივიდუალური მეწარმეობის დაწყების შემთხვევაში მოიპოვონ მატერიალური მოგება;

3. პიროვნების ნიშნების მესამე ჯგუფს ეკუთვნის ისეთი თვისებები, რომლებიც საფუძვლად ედება პიროვნების **მორალურ ორიენტაციებს.** პიროვნების ამ ასპექტის ჩამოყალიბება კარგად გამოხატავს მისი მომწიფების მაღალ დონეს. მორალური განწყობის საფუძველზე პიროვნება ახერხებს ისეთი აქტივობის განხორციელებას, რომელიც ემსახურება ღირებულებების შექმნას საზოგადოების მოთხოვნილებების გათვალისწინებით[4] (შოთა ნადირაშვილი .

იმისათვის, რომ შეიცვალოს მშობელთა ნეგატიური დამოკიდებულება სკოლის მიმართ, საჭიროა სკოლამ მშობელს კარგად გააცნობიერებინოს განათლების სისტემაში არსებული ცვლილებები და გამოწვევები, ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპები და ფასეულობები, აგრეთვე სასწავლო გეგმითა და სკოლის სტრატეგიული განვითარების მიზნით დაგეგმილი

ღონისძიებები. მშობელს სრულფასოვანი წარმოდგენა უნდა შეექმნას როგორც სწავლების, ისე აღმზრდელობითი მუშაობის შინაარსზე, სწავლების თანამედროვე მიდგომებზე, შეფასების წესებზე, რუბრიკებზე და სხვა აქტუალურ საკითხებზე. მშობელთა გათვითცნობიერება, მათთვის კონსულტაციების ჩატარება ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან ისინი ტრადიციული სკოლების კურსდამთავრებულები არიან და მათი შეხედულებები, უმეტესწილად, ძველი სკოლის შთაბეჭდილებებს ეფუძნება.

მეცნიერთა აზრით, სკოლისა და მშობლის ძალიხმევის გაერთიანება აუცილებელია შედეგზე გასასვლელად, რათა სკოლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდამ შეძლოს გააკეთოს ყველაფერი, რაც ცხოვრებაში დამოუკიდებელ პიროვნებად შესვლის საშუალებას მისცემს. ეს შესაძლებელი გახდება იმ შემთხვევაში, თუ სკოლაში დომინირებულ მდგომარეობას დაიკავებს სააღმზრდელო მუშაობა,თუ შედგება მშობლებისა და სკოლის მჭიდრო თანამშრომლობა დამოუკიდებელი პიროვნების აღსაზრდელად[5] (,,სკოლაში სააღმზრდელო მუშაობის აქტუალური პრობლემები“).

მშობლებისა და მასწავლებლების კარგი ურთიერთობა ხელს უწყობს მოსწავლის წარმატებას, ზრდის და აძლიერებს მის თვითშეფასებას. თუ ბავშვმა იცის, რომ მშობელი დაინტერესებულია შვილის აკადემიური წარმატებით, ეს დადებითად მოქმედებს მის მოტივაციაზე. სკოლამ უნდა უზრუნველყოს მშობლის უფლება, რომ პერიოდულად მიიღოს ახალი მონაცემები ბავშვის აკადემიური მოსწრებისა და ქცევის შესახებ, რომლის დაკმაყოფილებაც ბავშვს სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად სჭირდება. კარგი კომუნიკაციის უნარი წარმატებული ურთიერთობის წინაპირობაა.

პრობლემის არსებობის შემთხვევაში აუცილებლად ჩააყენეთ საქმის კურსში მშობლები. დაუკავშირდით მათ პრობლემების გამწვავებამდე. მშობელზე უარყოფითად მოქმედებს, როცა ხედავს, რომ პრობლემა დიდი ხანია არსებობს და მან ახლა გაიგო.(სასწავლო და პროფესიული გარემო. ნაწილი 3 გვ.130)

მშობლებთან ურთიერთობის დროს მასწავლებლებმა უნდა გაითვალისწინონ მოსწავლის ოჯახის კულტურული, სოციალური და სხვა მახასიათებლები. იმისათვის ,რომ თანამშრომლობა ეფექტური იყოს, მასწავლებელი უნდა აცნობიერებდეს და პატივს სცემდეს სხვადასხვა ოჯახში არსებულ კულტურასა და დამოკიდებულებებს. აუცილებელია მასწავლებლებმა და მშობლებმა გააცნობიერონ თავიანთი უმნიშვნელოვანესი როლი მოსწავლის ცხოვრებაში და ერთმანეთთან თანამშრომლობით ხელი შეუწყონ მოსწავლის შესაძლებლობებისა და უნარების განვითარებას. მშობლებთან აქტიური თანამშრომლობა და მათი ჩართვა საგანმანათლებლო პროცესში ხელს უწყობს სწავლის შედეგების გაუმჯობესებას და ამცირებს სკოლაში ძალადობის შემთხვევების რისკს. [6] (ანა ჯანელიძე.)

დიმიტრი უზნაძეს მიაჩნია,რომ,, აღმზრდელი ვერ მიაღწევს თავის მიზნებს, თუ არ ჩაწვდება ბავშვის ბუნებას'' ხშირ შემთხვევაში, მშობლები ბავშვებთან ურთიერთობისას საკუთარი მიზნებით ხელმძღვანელობენ და ცდილობენ, მიზანს მბრძანებლური, ჭკუის დამრიგებლური დამოკიდებულებით მიაღწიონ.

გერმანელ-ამერიკელ ფსიქოლოგ კარენ ჰორნს კი მიაჩნდა, რომ მშობლის სიყვარულს მოკლებული ბავშვები მიდრეკილნი არიან დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილებების განვითარებისაკენ (რომლებსაც ის ნევროზულ მოთხოვნილებებად განიხილავდა)

IV თავი

მეთოდოლოგია

4.1 რატომ არის მნიშვნელოვანი მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში?

მასწავლებლებსა და მშობლებს შორის მჭიდრო კავშირი და თანამშრომლობა ძალიან დიდ გავლენას ახდენს, როგორც სასწავლო პროცესის წარმარებით განხორციელებაში ასევე ბავშვის ყოველმხრივ განვითარებაში. და რაც მშიშვნელოვანია ამ თანამშრომლობით შეგვიძლია სხვადასხვა არასასურველი შედეგის(სწავლასთან, ქცევასთან, სოციალურ ურთიერთობებთან დაკავშირებული პრობლემების) პრევენცია.

ყველა ბავშვი აწყდება ცხოვრებაში სიტუაციებს, რომლთა შედეგად გულგატეხილობა, იმედგაცრუება, ტკივილი ან სტრესი მოსდევს: პრობლემები შეიძლება დაკავშირებული იყოს მეგობრებთან, მშობლებთან, მასწავლებლებთან, გარე სამყაროსთან და საკუთარ თავთან. თუ ამგვარი პრობლემების მოგვარებაში დავეხმარებით, ბავშვი სულიერ წონასწორობას შეინარჩუნებს და უფრო ძლიერი და თავდაჯერებული გახდება. თუ მხარდაჭერას ვერ იგრძნობს, ემოციური პრობლემები გაუღრმავდება.

ნებისმიერი საქმიანობის შესწავლისას სიძნელეებს ვაწყდებით და ხშირად იმედგაცრუება გველის. მიუხედავად ამისა, უნდა გვახსოვდეს, რომ ის მშობელები, რომლებიც სერიოზულად მოეკიდებიან თავიანთი უნარებისა და ცოდნის განვითარებას, გაიხარებენ შვილების დამოუკიდებლობისა და სიმწიფის პროგრესით, მათთან ურთიერთობის ახლებური სითბოთი.(თომას გორდონი ,,როგორ გავხდე კარგი მშობელი''გვ.77-78)

4.2სამიზნე ჯგუფი

სამიზნე ჯგუფში შედიოდნენ საბაზო საფეხურის მშობლები , მოსწავლეები და კლასის დამრიგებლები.

4.3გამოყენებული მეთოდები

თვისობრივი და რაოდენობრივი მეთოდი, ანკეტირება.

4.4კვლევის დაგეგმვა

შერჩევა

კვლევაში გამოყენებული იქნება შერჩევის ორი ტიპი:

სრული შერჩევა-სრული შერჩევის დროს გადავწყვიტეთ გამოგვეყენებინა დიალოგი. საკვლევი პრობლემის შესასწავლად მასწავლებლებთან სრულად დაიგეგმა გამოკითხვის ჩატარება ანკეტური გამოკითხვით. კითხვარები განკუთვნილია სკოლის ყველა პედაგოგისათვის, რადგან გარდა ერთი–მესამე კლასის მასწავლებლისა ყველა ასწავლის საბაზო საფეხურზე, საბაზო საფეხურის მოსწავლეებისა და მათი მშობლებისათვის.

მიზნობრივი შერჩევა-ამ ეტაპზე გამოვიყენეთ თვისობრივი მეთოდები. კვლევის პროცესში ეს შერჩევა გამოვიყენეთ ჩაღრმავებული ინტერვიუს დროს, რომელიც განხორციელდა მე-3 კლასის მასწავლებელთან და მე-5--მე-9 კლასის დამრიგებლებთან,

ვინაიდან ეს პრობლემა მთელი სკოლის პრობლემასაც წარმოადგენს.

4.5მონაცემთა შეგროვება

მონავემთა შეგროვება განხორციელდა შემდეგი მეთოდების გამოყენებით:

დიალოგი-ეს ფორმა ავირჩიე მასწავლებლებლებთან ურთიერთობისათვის სრული შერჩევისას, რათა მიმეღო ჩემთვის სასურველი ინფორმაცია, გამეგო მათი მოსაზრებები და შეფასებები და შეფასებები მოცემულ საკითხზე. დიალოგი მიახლოებით ამ მიმართულებით წარიმართა:

- როგორ ფიქრობთ: რა იწვევს მშობლების ნაკლებ ჩართულობას სასწავლო პროცესში?
- თქვენი აზრით: რა ღონისძიებები უნდა გატარდეს ამ პრობლემის გამოსასწორებლად?
- ხომ არ არის ეს პრობლემა გამომდინარე დღევანდელი განათლების სისტემაში მუდმივად მიმდინარე რეფორმებზე მშობლების ნაკლებად ცნობადობაზე?

ჩაღრმავებული ინტერვიუ-ჩაღრმავებული ინტერვიუ ჩატარდა სკოლის ყველა მასწავლებლებთან რამაც საშუალება მოგვცა უფრო მეტი დეტალური ინფორმაცია მიგვეღო მოცემულ პრობლემასთან მიმართებაში და გაგვეცა პასუხი შემდეგ კითხვებზე:

- რა სახით ვლინდება თქვენს მუშაობაში მშობელთა ნაკლები ჩართულობა?
- რა ღონისძიებებს გაატარებდით მის აღმოსაფხვრელად?
- ახდენს თუ არა გავლენას მშობელთა ნაკლები ჩართულობა მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე?

ფოკუსჯგუფი- ფოკუსჯგუფის საშუალებით ჩამოვაყალიბეთ კითხვარი, რომელიც განკუთვნილი იყო მშობლების, მასწავლებლების და მოსწავლეებისათვის(დანართი1,2,3)

4.6კვლევის ვადები

	2017–2018 სასწავლო წელი				2018-2019 სასწავლო წელი			
აქტივობა	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
პრობლემის იდენტიფიცირება	X							
კვლევის გეგმის შედგენა	X							
ინტერვიუ სკოლის დირექტორთან	X							X
კვლევის ჯგუფის შექმნა	X							
კვლევის ჯგუფის შეხვედრები	X	X	X	X	X	X	X	X
მეორადი მონაცემების შეგროვება	X							
მეორადი მონაცემების ანალიზი	X							

ფოკუს ჯგუფი კვლევის მონაწილეებთან კითხვარის შედგენისათვის		X						
კითხვარის შედგენა, დამუშავება		X						
გამოკითხვა		X						
მიღებული შედეგების ანალიზი			X					
სავარაუდო ინტერვეციების განხილვა				X	X	X	X	

ინტერვეციების განხორციელება				X	X	X	X	
ინტერვეციების სედეგების ანალიზი								X
პრეზენტაცია.შედეგების გაცნობა								X

V თავი

კვლევის შედეგები

5.1. გამოკითხვის შედეგების ანალიზი

დიალოგი-საუბრის დროს გამოიკვეთა, რომ მშობლებისა და სკოლის ნაკლები თანამშრომლობა გამოწვეულია მშობელთა ნაკლები ინფორმირებულობით, მათი ჩართვის აუცილებლობაზე, რადგან სოფელში ყველა ყველას იცნობს და პასუხისმგებლობასაც მას აკისრებს. ზოგიერთების აზრით კი ეს მცირეკონტიგენტიანობის გამოა, რადგან მშობელი ფიქრობს მაინც ცოტა ბავშვები არიან და უფრო მეტი დრო აქვთ სწავლისათვის ამიტომ მათ დახმარებას აღარ ცდილობენ. ასევე მშობლების მოუცლელობა სამუშაოს ძებნის გამო.(ფაქტიურად ბავშვების მეტი ნაწილი ბებია-ბაბუასთან იზრდებიან)

ჩაღრმავებული ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ მშობლები დაწყებითი კლასის მასწავლებლებთან უფრო თანამშრომლობენ , ვიდრე საბაზო საფეხურის მოსწავლეების მასწავლებლებთან , რაც მათი სწავლისა და ქცევის ნორმებზეც აისახება. დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები უფრო გამოირჩევიან სწავლის ხარისხითაც და ქცევის წესების დაცვითაც. გარდა ამისა გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურის ზოგიერთი მოსწავლე მთელი სკოლის მოსწავლეთა კონტროლს აწარმოებს, რაც ხშირად სხვადასხვა სახის კონფლიქტს იწვევს.

მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის დონის დასადგენად სკოლის დირექციასთან შეთანხმებით დავგეგმეთ მშობელთა კრება კლასების მიხედვით, სადაც დამრიგებლებთან ერთად მშობლებს აუხსნიდით კვლევის მნიშვნელობას და მათი ჩართულობას ამ პროცესში ასევე მივაწოდებით საჭირო შესაბამისი ინფორმაციას და გადავცემდით კითხვარებს.

დამრიგებლებს ვთხოვე, რომ შევსებული კითხვარის დასაბრუნებლად ვადად მშობლებისათვის განესაზღვრათ სამი დღე ;ასევე ეთხოვათ მშობლებისათვის გულწრფელები და ობიექტურები ყოფილიყვნენ კითხვარის შევსების დროს და შვილების

თანამონაწილეობით გაეცათ კითხვებზე პასუხები.

დაგეგმილ მშობელთა კრებაზე შუახევის მუნიციპალიტეტის ტაკიძეების საჯარო სკოლის მოსწავლეთა მშობლების უმრავლესობა გამოცხადდა. ხოლო მათთვის, ვინც გარკვეულ

მიზეზთა გამო ვერ შეძლო სკოლაში გამოცხადება, მომზადდა მატერიალური კითხვარი . .გავუგზავნეთ კითხვარი და მივიღეთ შესაბამისად პასუხები.

გამოკითხვაში მონაწილეობა 5 მშობლიდან მიიღო ყველამ. მშობლებისგან ინფორმაცია ძირითადად შეგროვდა მატერიალური კითხვარის შევსებით. ასევე კითხვარები დაურიგდათ მოსწავლეებს და მასწავლებლებს და მიეცათ გონივრული დრო პასუხისათვის.

მშობლებისათვის განკუთვნილი ანკეტური გამოკითხვის შედეგები:

პირველ კითხვაზე

რა მიგაჩნიათ თქვენი შვილის საუკეთესო უნარებად/შესაძლებლობად? გვიამბეთ, როდის შეამჩნიეთ ეს უნარები/შესაძლებლობები.

მშობელთა ნაწილი ასახელებს რომ მათი შვილები არიან ყურადღებიანები, უყვართ წიგნების კითხვა,ადვილად ითვისებენ ახალ მასალას, ერთგულები და შრომისმოყვარეები არიან. მშობელთა ნაწილმა კი აღნიშნა,რომ მათი შვილები გამოირჩევიან ხელოვნების და სპორტის სხვადასხვა სახეობების სიყვარულით და შესაბამისი უნარებით.

ზოგიერთმა მშობელმა აღნიშნა, რომ ცალსახად ვერ გამოკვეთს თავიანთი შვილების რომელიმე უნარს.

საკითხს თუ როდის შეამჩნიეს ეს უნარები მშობლების მიერ დასახელებული იქნა: პატარაობის ასაკში, დაკვირვებით, მეცადინეობისას, საოჯახო საქმეების შესრულებისას, შვილებთან საუბრისას, მასწავლებლებთან საუბრის შემდეგ. ზოგიერთმა აღნიშნა, რომ არ დაფიქრებულან ამ საკითხზე.

მეორე კითხვაზე:

შეგინიშნავთ თუ არა თქვენი შვილის თანატოლებს შორის უთანასწოროდ მოპყრობა, ჩაგვრა, ათვალწუნება ან დამცირება?

მშობელთა პასუხების მიხედვით მივიღეთ შემდეგი სურათი:

მშობლებმა აღნიშნეს რომ ასეთი ფაქტები არ დაუფიქსირებიათ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და მრავალფეროვანი გამოდგა მშობელთა თვალსაზრისები.

მესამე კითხვაზე:

როგორ ფიქრობთ ,შეუძლიათ მათ შვილებს გამოიყენონ მათი ძლიერი უნარები სკოლაში თანასწორობის დასაცავად - მიუთითოს მჩაგვრელს, შეარცხვინოს და ამხილოს ის ადამიანი, რომელიც სხვას ამცირებს და ათვალწუნებული ჰყავს კლასელები?

მიღებული პასუხები ასეთნაირად იქნა განაწილებული:

მშობლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა სიმცირის გამო ასეთი ფაქტები არ დაუფიქსირებიათ მაგრამ ერთმა მშობელმა მოიყვანა მისი შვილის მაგალითი , თუ როგორ მიუთითა მისმა შვილმა სისუფთავის დაცვისაკენ მასზე გაცილებით უფროს ადამიანს სამგზავრო ავტობუსში. რამაც შედეგი გამოიღო,თუმცა ზოგიერთი მგზავრისგან საყვედური მიიღო უფროსი ასაკის ადამიანზე შენიშვნის მიცემის გამო.

სხვადასხვაგვარი პასუხები იქნა გაცემული **მეოთხე კითხვაზე:**

როგორ ფიქრობთ, წლის ბოლოს, რას მოგიყვებათ თქვენი შვილი მთელი წლის სასკოლო გამოცდილების შესახებ?

მშობლების პასუხები ძირითადად ასეთი იყო:

1. არაფერს არ დატოვებს უთქმელს სასკოლო ცხოვრების შესახებ;
2. სასწავლო წლის შედეგების შესახებ;
3. სასწავლო წელი იყო ძალიან დამღლელი;
4. თავის მიღწევებზე სწავლაში ;
5. ექსკურსიებში მონაწილეობაზე;
6.სხვადასხვა სახის ღონისძიებებში მონაწილეობის შესახებ;
7. არ განიხილავს სასკოლო ცხოვრებას ;
8.ჩემთან ჩემი მოუცლელობის გამო არასოდეს ვსაუბრობთ მის შესახებ.

მეხუთე კითხვაზე , თუ როგორი იყო თქვენი გამოცდილება, როცა თქვენც იმავე კლასში სწავლობდით, რომელშიც თქვენი შვილია?

მშობელთა უმეტესობა აღნიშნავს,რომ ახლანდელი თაობა უფრო სხვა მიმართულებითაა განვითარებული,ვიდრე ჩვენ ვიყავით.ასახელებენ ტექნოლოგიებს.

მშობელთა ნაწილი მიიჩნევს,რომ სკოლა მათთვის იყო უფრო მეტის მიმცემი ვიდრე დღესაა .ნაწილი მშობლებისა კი პირიქით ხაზს უსვამს დღევანდელი სკოლის უპირატესობას.

საინტერესო აღმოჩნდა მშობელთა მოლოდინები შვილების მიმართ, რაც გამოიკვეთა **მეექვსე შეკითხვაზე პასუხებში :**

რა მოლოდინები გაქვთ თქვენი შვილის მიმართ სემესტრის/წლის ბოლოს?

მშობლების ძირითადმა ნაწილმა დაასახელა ,რომ მათი შვილები გაახარებენ კარგი შედეგებით. ნაწილმა გამოთქვა საყვედური თავიანთი შვილების მიმართ და აღნიშნეს,რომ არ ელოდებიან კარგ შედეგებს.

მეშვიდე კითხვაზე :

რა მოლოდინები აქვთ მასწავლებლებს, - გიკითხავთ თუ არა მასწავლებლებისთვის ამის შესახებ?

მშობელთა პასუხები არაერთგვაროვანია.კერძოდ:

1. ხშირად ვეკითხები მასწავლებლებს;
2. მასწავლებლები თვითონ მიყვებიან ამის შესახებ;
3. მასწავლებლებს აქვთ მაღალი მოლოდინები;

4. მასწავლებლები ითხოვენ თანამშრომლობას,რათა უკეთესი შედეგები იყოს
5. არ მიკითხავს მასწავლებლებისათვის ამის შესახებ;
6. იშვიათად ვეკითხები მასწავლებლებს;

მერვე კითხვაზე:
რის ისეთი საკითხი, რომელსაც თვლით, რომ მე უნდა ვიცოდე, რაც საშუალებას მომცემს უკეთ დავეხმარო თქვენ შვილს სწავლაში?
არც ერთმა მშობელმა არ დაასახელა არც ერთი საკითხი.

მეცხრე კითხვაზე:
არის საკითხი, რომელზეც ინდივიდუალურად უნდა ვისაუბროთ და/ან უნდა ვიცოდე თქვენ შვილთან დაკავშირებით?

არც ამ შემთხვევაში დასახელებულა მათი მხრიდან რაიმე საკითხი.

მეათე კითხვაზე:
როგორ (ინდივიდუალურად, სხვა მშობლებთან ერთად) და როდის გინდათ შევხვდეთ ერთმანეთს? რა საკითხზე/საკითხებზე ისურვებდით რომ შეგეხმიანოთ? გთხოვთ, მიუთითოთ თემატიკა.
არცერთ მშობელს არ გამოუთქვამს ინდივიდუალურად შეხვედრის სურვილი და არ დაუსახელებიათ კონკრეტული დრო შეხვედრისათვის.

კითხვარებზე პასუხების განხილვის შემდეგ ჩვენს მიერ გამოიკვეთა სკოლისათვის პრიორიტეტული რამოდენიმე საკითხი:
1.მშობლები არ იჩენენ მზაობას სკოლისადმი;
2.მშობლები თავიანთ მოვალეობად არ მიიჩნევენ მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებაში აქტიურ ჩარევას;
3.მშობლების ნაწილი ყურადღებას ამახვილებს თანატოლთა უთანასწორო მოპყრობის ფაქტებზე;
4.მშობლების ნაწილი თავიანთ დაკავებულობას ასახელებენ შვილებთან ურთიერთობისას.

მშობელთა აზრით მათი სასწავლო პროცესებში ჩართულობის რაოდენობრივი მაჩვენებელი პროცენტულად ასე გადანაწილდა:



მოსწავლეთა ანკეტური გამოკითხვის შედეგები:

პირველ კითხვაზე:

რამდენად ერევიან მშობლები თქვენ სასკოლო ცხოვრებაში?

მოსწავლეთა უმეტესობამ მშობლების მოუცლელობა და ის სოფლის მძიმე ცხოვრება და სოციალური პირობები დაასახელა , რომელსიც მათ უწევთ ცხოვრება.

მეორე კითხვაზე:

რამდენად არიან კმაყოფილი სასკოლო გარემოთი? და რის შეცვლას ისურვებდნენ?

მოსწავლეთა ნაწილმა კმაყოფილება გამოთქვა არსებული გარემოში, ნაწილმა კი აზრი გამოთქვა ,რომ უკეთეს გარემონტებულ შენობაში და მრავალრიცხოვან კლასში ისურვებდა სწავლას, სადაც , კონკურენციის მაჩვენებელი მაღალი იქნებოდა,რაც გავლენას იქონიებდა, როგორც მისი სწავლის ხარისხზე ასევე მრავალმხრივ განვითარებაზე. გაუზრდიდა მოტივაციას სკოლისადმი.

მესამე შეკითხვაზე;

რამდენად ეხმარებიან მშობლები საშინაო დავალებების შესრულებაში?

საბაზო საფეხურის მოსწავლეთა ნაწილმა აღიარა, რომ მშობლებს მათთვის ,,არ სცალიათ'' და გულისტკივილით აღნიშნეს, რომ დაწყებით საფეხურზე უფრო იტერესდებოდნენ მათი სწავლით, ვიდრე ახლა და ეს მათ მოუცლელობას დაუკავშირეს.

ნაწილმა კი აღნიშნა, რომ არც ისე ხშირად.

მეოთხე კითხვაზე:

ვინ ადგენს თქვენი დღის რეჟიმს?

მოსწავლეთა უმეტესობამ აღნიშნა, რომ თვითონ ღებულობენ გადაწყვეტილებას დღის რეჟიმის რეგულაციაზე.

.

მეხუთე კითხვაზე:

რომელი მშობელი უფრო მეტადაა დაინტერესებული მათი სწავლის მიმართ ჩართულობით?

თითქმის ყველა მოსწავლემ აღნიშნა, რომ დედა და ეს იმით ახსნეს, რომ მამები ძირითადად სამუშაოს საძებრად არიან წასული ქალაქში და ფაქტიურად სახლში ხშირად არ არიან.

მეექვსე კითხვაზე:

როგორი სახის დავალების შესრულება უყვართ ყველაზე მეტად?

მოსწავლეთა ნაწილმა წერითი, ნაწილმა- სკოლის ინტერნეტ ქსელში ჩატვირთული სასწავლო და შემოქმედებითი დავალებების. ზოგს მოსაძიებელი ინფორმაციები მოსწონს, ზოგმა კი ახალი მეთოდებით სწავლება დაასახელა; მაგ. თამაშით ან კეთებით სწავლება.

მეშვიდე კითხვაზე:

ისურვებდნენ თუ არა მშობლების დასწრებას გაკვეთილებზე?

6 მოსწავლიდან ხუთმა გამოთქვა სურვილი მშობლის მხრიდან გაკვეთილზე დასწრებაზე და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ დედა დაესწრებოდა, რადგან თვლიდნენ, რომ მამები მაინც ვერ მოიცლიდნენ სკოლაში მოსასვლელად.

მერვე კითხვაზე:

რამდენად უსაფრთხოდ გრძნობთ თავს ოჯახში?

მხოლოდ ერთმა მოსწავლემ აღნიშნა, რომ განიცდის შეურაცყოფას დედინაცვლის და ნახევარდის მხრიდან, რადგან მამა ხშირად არ არის სახლში და მას ბებია თანაუგრძნობს, რის გამოც ხშირია კონფლიქტი ოჯახის წევრებს შორის, თუმცა ბებია ამას მამას არ ეუბნება და მასაც თხოვს, რომ თავი შეიკაოს სიტუაციის დაძაბვისგან.დანარჩენებმა კი აღნიშნეს, რომ თავს კომფორტულად გრძნობენ ოჯახში, მაგრამ გული შეტკივათ, იმაზე, რომ ყოველთვის ვერ ახერხებენ მშობლები მათთან დროის გატარებას.

მეცხრე კითხვაზე:

რამდენად უსაფრთხოდ გრძნობენ თავს სკოლაში?

თითქმის ყველამ აღნიშნა , რომ თავს სრულიად უსაფრთხოდ გრძნობენ, რადგან მოსწავლეთა მცირე კონტიგენტი და სასკოლო გარემო მათ ამის საშუალებას აძლევს. თუმცა აღნიშნეს, რომ ზოგჯერ მცირე ექსცესებსაც აქვს ადგილი, მაგრამ ეს ძირითადად მეტსახელების შერქმევის ან უხეში ფორმით მიმართვაში გამოიხატება.

მეათე კითხვაზე:
გეხმარებათ თუ არა კარგი განწყობა კარგად სწავლაში?
მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ ეს განწყობა მასწავლებლების ან მშობლების განწყობაზეა დამოკიდებული და აისახება მათი სწავლის ხარისხზე, ხოლო მოსწავლეთა ნაწილმა არნიშნა, რომ ეს მათ სწავლაში არ უშლის ხელს. ნაწილმა კი გულისტკივილით აღნიშნა, რომ დიდია განწყობის როლი კარგად სწავლაში.

მოსწავლეთა ანკეტური გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა რამოდენიმე პრიორიტეტული საკითხები:
1.მოსწავლეები უკმაყოფილებას გამოთქვამენ მშობლების მხრიდან სკოლის ცხოვრებაში ჩართულობით, განსაკუთრებით მამების მხრიდან.
2.მშობლების მხრიდან მოსწავლეთა ნაწილი განიცდის დამცირებას.
3.საჭიროა ქცევის წესების შემუშავება მოსწავლეებთან ერთად.
4.მშობლები ნაკლებ დროს ატარებენ შვილებთან, რაც მათ განწყობასა და სწავლის ხარისხზეც აისახება.

მოსწავლეთა ანკეტური გამოკითხვის შედეგად მიღებული რაოდენობრივი მაჩვენებელი მშობელთა მხრიდან სწავლებაში დახმარების მხვრივ პროცენტულად ასე გადანაწილდა:



მასწავლებელთა ანკეტური გამოკითხვის შედეგები:

პირველ კითხვაზე:
როგორ ფიქრობთ ახდენს თუ არა მშობელთა ჩართულობა მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე?
მასწავლებლებმა ერთხმად უპასუხეს, რომ ეს გადამწყვეტია სწავლების ხარისხის ასამაღლებლად.

მეორე კითხვაზე:
როგორ ფიქრობთ, რატომ არ იჩენენ მშობლები დაინტერესებას სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობაზე?
მასწავლებელთა ნაწილმა ამის მიზეზად მშობელთა მოუცლელობა დაასახელა, ნაწილმა კი აღნიშნა, რომ მშობლები ვალდებულად არ თვლიან თავიანთ წვლილს სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

მესამე კითხვაზე:
რა ღირებულება აქვს მშობელთა ნორმალურ კომუნიკაციას და თბილ თანამშრომლობით გარემოს, როგორც სასწავლო პროცესის წარმართვაზე, ასევე მომავალი თაობის აღზრდასა და განვითარებაზე?

მასწავლებლების აზრი დაემთხვა ერთმანეთს და მათ მკაფიოდ განაცხადეს, რომ მშობელთა ჩართულობა და თბილი კომუნიკაცია სკოლასთან გავლენას ახდენს, როგორც სწავლის ხარისხზე, ისე მოსწავლეთა მრავალმხვრივ განვითარებაზე.

მეოთხე კითხვაზე:
რა სახით ვლინდება თქვენს მუშაობაში მშობელთა კომუნიკაციასთან დაკავშირებული სირთულეები?
მასწავლებელთა ნაწილმა ეს იმით ახსნა, რომ რადგან სკოლა მცირეკონტიგენტიანია და ყველა ყველას იცნობს, მშობლები მიზანშეწონილად არ თვლიან სკოლაში ხშირად მოსვლას და ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში. ხოლო მეორე ნაწილმა აღნიშნა, რომ მათ შვილებს მასწავლებლების უფრო სჯერათ და თავს იმით იმართლებენ, რომ დასაქმების გამო ვერ იცლიან შვილებს მოაკითხონ.

მეხუთე კითხვაზე:
რამდენად ხშირად აწვდით ინფორმაციას მშობლებს თავიანთი შვილების აკადემიური მოსწრებისა თუ ქცევების შესახებ?

აღმოჩნდა, რომ არც თუ ისე ხშირად ხდება ინფორმაციის მიწოდება მშობლებისათვის და ეს ძირითადად კლასის ხელმძღვანელთა მხრიდან მიწოდებული ინფორმაციით შემოიფარგლება.

მეექვსე კითხვაზე:
რას მიიჩნევთ მთავარ ამოცანად მშობლებსა და სკოლას შორის კომუნიკაციასთან დაკავშირებული სირთულეების აღმოსაფხვრელად?
მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საჭიროა ახალი მიდგომები და მშობელთა განათლება ამ კუთხით. სკოლის ადმინისტრაციამ და პედაგოგიურმა კოლექტივმა უნდა დასახოს სხვადასხვა ღონისძიებები და აქტივობები მშობელთა განათლებისა და სასკოლო ცხოვრებაში მათი აქტიურად ჩართულობისათვის.

მეშვიდე კითხვაზე:
როგორ ფიქრობთ ახდენს თუ არა ოჯახური კონფლიქტები გავლენას მოსწავლეთა კარგ განწყობასა და სწავლის ხარისხზე?
პეგაგოგებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ ეს მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსწავლის დამოკიდებულებაზე სწავლისა და ზოგადად თვითრეალიზაციაზე. ასეთი მოსწავლე აგრესიულია თანატოლებისა და პედაგოგების მიმართ და ნაკლებად ერთვება სასკოლო ცხოვრებაში.

მერვე კითხვაზე:
მოუმართავთ თუ არა მშობლებს სკოლისათვის რაიმე ინიციატივით?
პედაგოგების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ არასდროს მოუმართავთ სკოლისათვის რაიმე ინიციატივით, თუმცა პირად საუბრებში ხშირად აღუნიშნავთ, რომ მცირე კონტიგენტი ხელს უშლის მათ შვილებს სხვადასხვა აქტივობების შესრულებაში.

მეცხრე კითხვაზე:
თქვენი აზრით შეიძლება ესწრებოდნენ თუ არა მშობლები თავიანთი სურვილით შვილებს გაკვეთილებზე?
მასწავლებელთა ნაწილმა განმარტა, რომ რადგან კლასში ერთი ან ორი მოსწავლეა მშობელს შეუძლია მათთან შეთანხმებით დაესწროს გაკვეთილზე, რადგან ეს მეორე ბავშვის უფლებებს არ დაარღვევს და შესაძლებელია მშობელთან ერთად შეასრულოს გარკვეული აქტივობები,რაც ხელს შეუწყობს ბავშვის გააქტიურებას და მშობლის კავშირს სწავლების პროცესთან.თუმცა ნაწილმა აღნიშნა, რომ ეს მეორე ბავშვის უფლებებს არღვევს და ამ დროს მეორე მშობელთანაც უნდა მოხდეს შეთანხმება.

მეათე კითხვაზე:
შეიძლება თუ არა მშობლებთან კომუნიკაციის სირთულეები აღმოიფხვრას დაწყებით კლასებში?
მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ დაწყებითი კლასის მოსწავლეთა მშობლებლებთან სირთულეები არც ვლინდება, ისინი ამ დროს აქტიურად არიან ჩაბმული სასკოლო ცხოვრებაში, საბაზო საფეხურზე კი ისინი თანდათან უფრო ნაკლებად ერთვებიან სასწავლო პროცესში და ამას მოუცლელობით ხსნიან.

მასწავლებლებთან ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა, რომ:
1.ნაკლებია კომუნიკაცია მშობლებსა და სკოლას შორის;

2. მასწავლებლები მცირე დოზით აწვდიან ინფორმაციას მშობლებს;
3.საჭიროა მეტი აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება მშობლების და მასწავლებლებისა და ბავშვების ჩართულობით.
4.მასწავლებლებმა უფრო ხშირად უნდა მიაწოდონ ინფორმაცია მშობლებს მათი შვილების აკადემიური მოსწრებისა და ქცევების შესახებ;

მასწავლებელთა პასუხების რაოდეობრივი პროცენტული მაჩვენებლები მშობელთა ჩართულობის შესახებ მთლიანად დაემთხვა მშობლების პასუხებს:



5.2. კვლევის მიგნებები

შედეგების განხილვა

კვლევის შედეგების საფუძველზე გამოიკვეთა ძირითადი პრობლემები:

1. მშობელებისა და მოსწავლეების უფლებების და მოვალეობების არასაკმარისი ცოდნა;
2. სკოლაში მიმდინარე სიახლეების შესახებ მშობელთა ნაკლები ინფორმირებულობა;
3. პედაგოგიური მეთოდებისა და მიდგომების ნაკლები ცოდნა;
4. სასკოლო ცხოვრებისადმი ნაკლები ინტერესი;
5. სკოლაში ჩართულობის გზების შესახებ არასაკმარისად ინფორმირებულობა;
6. სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები;
7. შორი მანძილი საცხოვრებელი ადგილიდან სკოლამდე;
8. მშობელთა მოუცლელობა;

შედეგების ანალიზის შემდეგ მიზნად დავისახე აქტიურად ჩამერთო მშობელი სასკოლო ცხოვრებაში, რაც ხელს შეუწყობს;

- მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების მკვეთრად გაუმჯობესებას;
- მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას;
- მოსწავლის სკოლისადმი პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას;
- დისციპლინის გაუმჯობესებას;
- სკოლისა და მასწავლებლის ავტოროტეტის გაზრდას;
- სკოლის დემოკრატიულობის ხარისხის გაზრდას.

VI თავი

6.1.დაგეგმილი ინტერვენციები

1. მშობელთა ცნობიერების ამაღლება სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის მნიშვნელობის შესახებ.
2. სკოლის ღონისძიებებში, პროგრამებსა და პროექტებში მშობლების აქტიური ჩართვა.
3. სკოლის მართვაში, გადაწყვეტილებების მიღებაში მშობელთა აქტიური მონაწილეობა.

6.2 განხორციელებული აქტივობების ეტაპები

I ეტაპი

მშობელთა ოთახის გამოყოფა

სკოლის ადმინისტრაციის დახმარებით გამოვყეთ მშობელთა ოთახი, სადაც იმართება შეხვედრები. მიმდინარეობს მსჯელობა, აზრთა გაცვლა სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებზე. იდეებისა და მოსაზრებების გაზიარება და სკოლისთვის მიწოდება.

II ეტაპი

კვლევაში მშობელთა ჩართვა

მოვიწვიე მშობლები სკოლაში კვლევითი საინფორმაციო შეხვედრაზე (მაქსიმალურად შევეცადე ყველა მშობელი მოსულიყო, აქტიურად ჩავრთე მოსწავლეები ამ პროცესში, მშობლებს მივაწვდინე ინფორმაცია, რომ ეს შეხვედრა არ იქნებოდა განსჯადი ეს იქნებოდა შეხვედრა სადაც ერთად დავგეგმავდით თავიანთი შვილებისთვის ისეთ აქტივობებს რომელიც მათ დაეხმარებოდა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაში. შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა, ზოგიერთი ბავშვის ორივე მშობელი გამოცხადდა სადაც დირექტორთან ერთად გავაცანი ჩემი იდეა და ვესაუბრეთ თუ რატომ არის საჭირო სკოლის ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობა, გაეცნენ სამართლებლივ აქტებს: ზოგადი განათლების კანონს, სკოლის შინაგანაწესს, საკოლო სასწავლო გეგმას. სკოლის, მასწავლებლის, დირექციის, მოსწავლის და მშობლის უფლება მოვალეობებს.

III ეტაპი

მშობელთა ჩართვა სასწავლო პროცესში.

მშობელთა ჩართულობამ კვლევაში საშუალება მომცა სკოლის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით გამეხორციელებინა მთელი რიგი აქტივობები მშობლების მონაწილეობით კერძოდ:

- კვლევის დაწყებიდან პირველივე თვეებში მშობლები დავისწარი გაკვეთილილებზე, რამაც საშუალება მომცა დამენახა თანამშრომლობითი უნარი მშობლებსა და შვილებს შორის. მშობლებმა კი გაეცნენ გაკვეთილის სტრუქტურას და ბავშვის დონეს, რომელმაც ძალიან კარგი შედეგი მოგვცა მომავალში.
- ადმინისტრაციის ხელშეწყობით მშობლები ბავშვები და მასწავლებლები

- ერთად ვიყავით ექსკურსიაზე დასავლეთ საქართველოს ღირსესანიშნაობების სანახავად. ექსკურსიაზე ჩავატარეთ შემოქმედებითი კონკურსები სიმღერაში, ცეკვაში, ცოდნის გამოვლენაში, რომელმაც დიდი ხალისით და ინტერესით ჩაიარა და მშობელთა მოთხოვნით და ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით ეს ტრადიციად გვინდა ვაქციოთ. მიმდინარე წელს გვინდა სამცხე-ჯავახეთს ვეწვიოთ.
- ისტორიის მასწავლებელთან და მშობლებთან ერთად ჩავატარე გასვლითი გაკვეთილი ჩვენი რაიონის ღირსესანიშნაობების სანახავად სოფელ ნიგაზეულში სელიმ ხიმშიაშვილის სახლ-მუზეუმში და ჩვენს სოფელში არსებულ ისტორიულ ძეგლითან „ოთოლთას ციხეზე“.
- განვახორციელე პროექტი ,,ჩვენი სოფელი“სადაც საბაზო საფეხურის ყველა მოსწავლე მონაწილეობდა და პრეზენტაციაზე დავისწარი მოსწავლეთა მშობლები და პედაგოგები.
- საგანი ,მე და საზოგადოების“ ფარგლებში განვახორციელე სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პროექტი ,,ჯანსაღი კვება-კანფეტები“.,რომელსიც ასევე უშუალოდ მონაწილეობდნენ მშობლები. პრეზენტაცია წარვადგინე სლაიდების სახით, რომელის მშობლების, მასწავლებლების და მოსწავლეების ჩართულობით და სხვადასხვა აქტივობებით შევაჯამეთ, ბოლოს მოსწავლეებმა მათ მიერ გამომცხვარი ნუგბარი დააგემოვნეს.

6.3. რეკომენდაციები

კვლევის ჯგუფთან ერთად შევიმუშავე რეკომენდაციები დავხმარებოდით ყველა მასწავლებელს მშობლებთან კავშირის გამყარებაში, რომელიც შემდეგნაირად ჩამოვაყალიბეთ:

- მასწავლებლებმა გააგრძელონ მშობლებთან ხშირი შეხვედრები მშობელთა ოთახში;
- სისტემატიურად მიეწოდოთ მშობლებს ინფორმაცია მათი შვილების აკადემიური წარმატებისა და ქცევის შესახებ;
- მშობლები ინფორმირებული იყვნენ განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებისა და სიახლეების შესახებ;
- მშობლების და მოსწავლეთა ჩართულობით შემუშავდეს სკოლის შინაგანაწესი;
- გაგრძელდეს განხორციელებული აქტივობები მშობელთა ჩართულობით და გამრავალფეროვნდეს ღონისძიებები.
- სკოლის დირექციამ და მშობელთა კომიტეტმა აქტიურად ითანამშრომლონ სხვა სკოლის მშობლებთან და ადმინისტრაციასთან.

6.4. ინტერვენციის შეფასებები

პედაგოგიური პრაქტკის კვლევამ აჩვენა მშობელთა ჩართულობის ხარვეზები და გამოვლინდა მიზეზები, რომლის საფუძველზეც დაიგეგმა სხვადასხვა სახის აქტივობები დასახელებული პრობლემის მოსაგვარებლად ანუ მშობელთა ჩართულობის ხარისხის ასამაღლებლად. განხორციელებული აქტივობების შემდეგ ჩავატარე ფოკუსირებული დაკვირვება მასწავლებლების მხრიდან ვინც ასწავლიან სკოლაში, ხოლო მშობლებთან კვლევის მონაწილეებს გვქონდა დიალოგები, რათა საუბრისას გაგვეგო მათი დამოკიდებულება სკოლის მიმართ. შედეგებმა გვჩვენა, რომ:

- ❖ ამაღალდა მშობელთა, სკოლისა და კლასისგარე ნდობის ხარისხი, იმატა მოსწავლეთა პასუხისმგებლობამ საკუთარი სწავლის მიმართ;
- ❖ განმტკიცდა შეგნებული დისციპლინა, ყველა საგანში გაძლიერდა საშინაო დავალებების შესრულების ხარისხი, მოსწავლეთა შეფასების მიმართ პრეტენზიები საერთოდ აღარ არის;
- ❖ გაიზარდა მშობელთა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა მოტივაცია, მშობელი უფრო მეტ დროს უთმობს ბავშვის სოციალური, ემოციური და ინტელექტუალური განვითარების საჭიროებებს, მოსწავლე აღწევს მეტ წარმატებას, სწავლაში გახდა კომინიკაბელური და დადებითად განეწყო სკოლის მიმართ;
- ❖ მოსწავლეს გაუძლიერდა საკუთარი თავისა და შესაძლებლობის რწმენა, გაიზარდა მშობელთა და მასწავლებელთა კომუნიკაციის ხარისხი, რაც ეხმარება პედაგოგს, სისტემატიურად იღებდეს ამომწურავ ინფორმაციას ბავშვის შესახებ, სკოლას მეტი მხარდაჭერა გაუჩნდა მშობლების მხრიდან.
- ❖ მშობლებისათვის სკოლაში შეხვედრები მიმზიდველი გახდა. თუ ადრე მშობელი მთელ პასუხისმგებლობას მასწავლებლებს აკისრებდა ახლა თვითონ ინაწილებენ თავ-თავის წილ პასუხისმგებლობას. მასწავლებლების მიერ გაცემული რეკომენდაციები ეხმარება მათ დაადგინონ საკუთარი შვილის ძლიერი და სუსტი მხარეები და მიიღონ ქმედითი ღონისძიებები პრობლემების მოსაგვარებლად;
- ❖ აქტივობები დაეხმარა როგორც მშობლებს ასევე მოსწავლეებს თანამშრომლობითი უნარის განვითარებაში, მოსწავლეებმა შეივსეს ის სიცარიელე, რასაც კლასებში მცირეკონტიგენტიანობის გამო განიცდიდნენ, ხოლო მშობლებმა ისწავლეს კომუნიკაცია სხვადასხვა ასაკისა თუ პროფესიის ადამიანებთან;
- ❖ და რაც ყველაზე მთავარია მიმდინარე სასწავლო წელს ორი მოსწავლით გაიზარდა მოსწავლეთა კონტიგენტი ერთი მოსწავლე მეზობელი სოფლის სკოლიდან გადმოვიდა მე-5 კლასში, ხოლო მეორე ბათუმის 25-ე სკოლიდან მე-3 კლასში.

6.5ინტერვენციის შეფასება-დირექტორი

ინტერვენციის შემდეგ ინტერვიუ ავიღე დირექტორთან, იმ მიზნით, რომ დაგვედგინა მისი მოსაზრება კვლევის ფარგლებში ჩატარებული განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. ინტერვიუსას მან აღნიშნა, რომ იგი ნაწილობრივ მონაწილეობდა ამ პროცესში და

კმაყოფილია კვლევის შედეგად განხორციელებული აქტივობებით და მზადაა დაეხმაროს ყველა მასწავლებელს ვინც არა მარტო საკუთარი წინსვლისათვის არამედ ცალკეული კლასებისა და სკოლის საჭიროებებისათვის აუცილებელ ღონისძიებებს გეგმავს და ახორციელებს.

VII თავი

7.1. რეფლექსია

პირად პედაგოგიურ პრაქტიკაში გამოვლენილი საჭიროებების კვლევის შედეგების გაზიარების შესახებ.

საკუთარი პედაგოგიური კვლევა-,,როგორ ავამაღლოთ მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში " ჩავატარე 2017–2018 სასწავლო წლის მარტი-ივნისში და 2018–2019 სასწავლო წლის სექტემბერ-დეკემბერში. კვლევის აქტუალობა პრიორიტეტული იყო იმით, რომ წყაროების, უახლესი პროექტებისა და კვლევების შედეგების ანალიზმა გვიჩვენა, რომ სკოლის ცხოვრებაში მშობლის ჩართულობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა წარმატებისათვის.

ჩემი პედაგოგიური პრაქტიკიდან გამომდინარე ჩანდა, რომ მშობლები არ იყვნენ ჩართული სასწავლო პროცესში, რაც აისახებოდა როგორც მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე ასევე ქცევის ნორმების დაცვაზე. ამიტომ პრობლემის გადასაჭრელად გადავწყვიტე ჩამეტარებინა კვლევა, დახმარება ვთხოვე სკოლის ადმინისტრაციას და კლასის ხელმძღვანელებს, რომლებმაც აღიარეს, რომ მართლაც საჭირო იყო ქმედითი ღონისძიებები მშობელთა დასაინტერესებლად, რათა უფრო ხშირად ეთანამშრომლათ პედაგოგებთან და თვითონაც ჩართულიყვნენ სასწავლო პროცესში.

კვლევის შედეგების გასაცნობად შევიკრიბეთ 2018 წლის დეკემბრის ბოლოს. სანამ შევიკრიბებოდით ფოკუსჯგუფმა ვიმსჯელეთ რა ფორმით გაგვეცნო შედეგები პედაგოგებისათვის და გადავწყვიტეთ აგვერჩია დიალოგი, რადგანაც კვლევის საწყის ეტაპზე საუბარი მქონდა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მათი ინტერესიდან გამომდინარე საკითხი საჭირბოროტო იყო,როგორც ჩემი სადამრიგებლო კლასისათვის, ისე სკოლისათვის. პედაგოგები დიდი ყურადრებით ადევნებდნენ თვალყურს კვლევის მიმდინარეობას და ჩართული იყვნენ ინტერვენციის მიზნით განხორციელებულ ზოგიერთ აქტივობებში. ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო მათი მოსმენა და რეკომენდაციები, რომელთა ნაწილის დამეხმარა ინტერვენციის ფორმების ჩამოყალიბებაში.

ჩატარებული აქტივობების შემდეგ გადავწყვიტე ჩამეტარებინა პრეზენტაცია და გამეცნო კვლევის ანგარიში სრულად. სკოლის ადმინისტრაციასა და პედაგოგებთან ერთად მოვიწვიე ჩვენთან დაქვემდებარებული დაწყებითი სკოლის პედაგოგები და მოსწავლეთა მშობლები.

კვლევა დავამუშავე სლაიდის სახით, სადაც სრულად იყო ასახული საკვლევი მასალა,კვლევის მიზეზები, ეტაპები, ანალიზი და შედეგები.

ასევე კვლევის შედეგების საფუძველზე წარმოდგენილი იყო რეკომენდაციები მშობელთა ჩართულობის შესახებ.

წარმოდგენილი ანალიზი აჩვენებდა პრობლემის აქტუალობას. გამომწვევ მიზეზებსა და მათი გამოსწორების გზებს. ამ შემთხვევაში ყურადსაღებია ისეთი აქტივობები, რომელიც მშობელს აქტიურად ჩართავს სასწავლო პროცესში. მნიშვნელოვანია მშობლების ჩართვა სასწავლო თუ კლასგარეშე ღონისძიებებში, განსაკუთრებული შედეგი გამოიღო გაკვეთილებზე მშობლების დასწრებამ და ერთობლივმა ექსკურსიებმა.

შედეგებისა და რეკომენდაციების გაზიარების შემდეგ მასწავლებლები ითვალისწინებენ რეკომენდაციებს რის შედეგადაც გაიზარდა მშობლებთან შეხვედრები, სატელეფონო კავშირები და მშობლების მონაწილეობა თითქმის ყველა სასკოლო ღონისძიებებში.

რადგან ჩემთვის ეს საქმიანობა უცხო და პირველი იყო წავაწყდი გარკვეულ წინააღმდეგობებს მუშაობის პროცესში, კერძოდ:

- გარკვეული ძალისხმევა დამჭირდა მშობლების დასაინტერესებლად ჩართულიყვნენ მუშაობის პროცესში;
- რთული იყო კითხვარების შედგენა, განსახორციელებელი აქტივობების არჩევა, განხორციელება და შეფასება, რადგან ზოგიერთი აქტივობა მაგ. ექსკურსია ფინანსებთან იყო დაკავშირებული.(რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი სკოლის ადმინისტრაციას)
- დიდი დრო დასჭირდა კვლევის ანგარიშის გაწერას.

ასევე მნიშვნელოვანი, იყო პედაგოგთა და მშობელთა უკუკავშირი, რომელსაც სხვა დროს აუცილებლად გავითვალისწინებ.

7.2. დასკვნა

2018 წლის მარტიდან დეკემბრის ჩათვლით ტაკიძეების საჯარო სკოლაში ჩატარდა პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა ,,როგორ ავამაღლოთ მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში“. აღნიშნული კვლევის მიზანი იყო ის ,,ხიდჩატეხილობა“, რომელიც არსებობს თანამედროვე სკოლასა და მშობლებს შორის შესაძლებლობების მიხედვით შემემცირებინა და მეტი ჩართულობა იყოს მშობლების მხრიდან სასწავლო პროცესში. კვლევის ფარგლებში ჩამოვაყალიბეთ კვლევის ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ სკოლის დირექტორი და კლასის დამრიგებლები. კვლევის შედეგების შედეგად განხორციელდა სხვადასხვა ინტერვენციები და თითოეულმა პედაგოგმა შეცვალა მიდგომები მშობლების მიმართ. კვლევის ჯგუფთან ერთად შევიმუშავე რეკომენდაციები კვლევის შედეგად მიღებული მიგნებების განსახორციელებლად. სკოლის დირექტორმა გაიზიარა კვლევის შედეგად მიღებული ცვლილებები და დიდი დახმარება გაგვიწია როგორც ფინანსურად ისე მორალურად.

მადლობა სკოლის დირექციას, პედაგოგებს, განსაკუთრებით კლასის ხელმძღვანელებს, მშობლებს მოსწავლეებს ხელშეწყობისა და კვლევაში მონაწილეობისათვის!

პატივისცემით ნარგიზ ქათამაძე
2018 წ.

7.3 დანართი 1

კითხვარი მშობლებისათვის

ძვირფასო მშობლებო!

ტაკიძეების საჯარო სკოლის პედაგოგები ვატარებთ კვლევას მშობელთა ჩართულობის ხარისხის ამაღლების, ორმხვრივი ინფორმაციულობისა და პარტნიორული ურთიერთობების გაუმჯობესების მიზნით. მშობელსა და სკოლას შორის ურთიერთობა და აზრების გაზიარება ძალიან კარგი საშუალებაა. შესაძლოა მშობელი შვილს არ იცნობას იმ კუთხით, რა კუთხითაც მას სკოლა იცნობს და ამავე დროს, სკოლამ შეიძლება არ იცოდეს ის ინფორმაცია, რაც მშობელს შეუძლია სკოლას მიაწოდოს ბავშვის შესახებ. ამიტომ თქვენი აზრი ჩვენთვის მნიშვნელოვანია.

გთხოვთ ვითანამშრომლოთ!

1 ,,რა მიგაჩნიათ თქვენი შვილის საუკეთესო უნარებად/შესაძლებლობად? მოყევით, როდის შეამჩნიეთ ეს უნარები/შესაძლებლობები.“

---

1. შეგინიშნავთ თუ არა თქვენი შვილის თანატოლებს შორის :
   (შეგიძლიათ შემოხაზოთ რამდენიმე პასუხი)
   ა) უთანასწოროდ მოპყრობა;
   ბ) ჩაგვრა;
   გ) ათვალწუნება;
   დ) დამცირება;
   ე)არცერთი ზევით აღნიშნული ქცევა არ შემინიშნავს.

2. როგორ შეუძლიათ მათ შვილებს გამოიყენონ მათი ძლიერი უნარები სკოლაში თანასწორობის დასაცავად - მიუთითოს მჩაგვრელს, შეარცხვინოს და ამხილოს ის ადამიანი, რომელიც სხვას ამცირებს და ათვალწუნებული ჰყავს კლასელები?

ა)კი
ბ) ნაწილობრივ
გ) არა

4. როგორ ფიქრობთ, წლის ბოლოს, რას მოგიყვებათ თქვენი შვილი მთელი წლის სასკოლო გამოცდილების შესახებ?

_____

_____

5.როგორი იყო თქვენი გამოცდილება, როცა თქვენც იმავე კლასში სწავლობდით, რომელშიც თქვენი შვილია?

_____

_____

_____

6.რა მოლოდინები გაქვთ თქვენი შვილის მიმართ სემესტრის/წლის ბოლოს?

_____

_____

7.რა მოლოდინები აქვთ მასწავლებლებს, - გიკითხავთ თუ არა მასწავლებლებისთვის ამის შესახებ?

8.არის ისეთი საკითხი, რომელსაც თვლით, რომ მე უნდა ვიცოდე, რაც საშუალებას მომცემს უკეთ დავეხმარო თქვენ შვილს სწავლაში?

ა)კი;
ბ)არა.

9.არის საკითხი, რომელზეც ინდივიდუალურად უნდა ვისაუბროთ და/ან უნდა ვიცოდე თქვენ შვილთან დაკავშირებით?

ა)კი;
ბ)არა.

10.როგორ (ინდივიდუალურად, სხვა მშობლებთან ერთად) და როდის გინდათ შევხვდეთ ერთმანეთს? რა საკითხზე/საკითხებზე ისურვებდით რომ შეგეხმიანოთ? გთხოვთ, მიუთითოთ თემატიკა.

_____

_____

_____

_____

_____

გმადლობთ თანამშრომლობისათვის

7.4დანართი2

კითხვარი მოსწავლეებისათვის!

ძვირფასო მოსწავლეებო!

მოგესალმებით!

ტაკიძეების საჯარო სკოლის პედაგოგები ვატარებთ პრაქტიკულ კვლევას მშობელთა სასწავლო პროცესში აქტიური ჩართვისათვის. თქვენი, როგორც მოსწავლის მონაწილეობა მნიშვნელოვანია პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის. თქვენგან მიღებული ინფორმაცია ანონიმურია. არ არის საჭირო ვინაობის მითითება.

გთხოვთ ვითანამშრომლოთ!

1. რამდენად ერევიან მშობლები თქვენ სასკოლო ცხოვრებაში?

ა) ხშირად;
ბ) იშვიათად;
გ) საერთოდ არა.

2.რამდენად არიან კმაყოფილი სასკოლო გარემოთი? და რის შეცვლას ისურვებდნენ?

_____

_____

_____

_____

3.რამდენად ეხმარებიან მშობლები საშინაო დავალებების შესრულებაში?

ა) ყოველთვის;
ბ) იშვიათად;
გ)ხშირად.

4.ვინ ადგენს თქვენი დღის რეჟიმს?

_____

_____

.

5.რომელი მშობელი უფრო მეტადაა დაინტერესებული მათი სწავლის მიმართ ჩართულობით?

ა) დედა;
ბ) მამა
გ) ორივე

6.როგორი სახის დავალების შესრულება უყვართ ყველაზე მეტად?

_____

_____

7.ისურვებდნენ თუ არა მშობლების დასწრებას გაკვეთილებზე?

ა) კი
ბ)არა

8.რამდენად უსაფრთხოდ გრძნობთ თავს ოჯახში?

_____

_____

_____

_____

9.რამდენად უსაფრთხოდ გრძნობთ თავს სკოლაში?

_____

_____

_____

_____

10.გეხმარებათ თუ არა კარგი განწყობა კარგად სწავლაში?
ა) დიახ;
ბ)არა

გმადლობთ თანამშრომლობისათვის!

7.5 დანართი 3

კითხვარი მასწავლებლებისათვის!

ძვირფასო მასწავლებლებო!

ტაკიძეების საჯარო სკოლის პედაგოგები ვატარებთ პრაქტიკულ კვლევას მშობელთა სასწავლო პროცესში აქტიური ჩართვისათვის, თქვენი, როგორც პედაგოგების მონაწილეობა მნიშვნელოვანია კვლევის წარმატებულად განხორციელებისათვის, რაც კიდევ უფრო გააუმჯობესებს თანამშრომლობას სკოლასა და მშობელს შორის. თქვენგან მიღებული ინფორმაცია ანონიმურია.არაა აუცილებელი ვინაობის მითითება.

გთხოვთ ვითანამშრომლოთ!

1.როგორ ფიქრობთ ახდენს თუ არა მშობელთა ჩართულობა მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე?

ა) დიახ;
ბ) არა;
გ) ნაწილობრივ.

2.როგორ ფიქრობთ, რატომ არ იჩენენ მშობლები დაინტერესებას სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობაზე?

_____

_____

_____

_____

3.რა ღირებულება აქვს მშობელთა ნორმალურ კომუნიკაციას და თბილ თანამშრომლობით გარემოს, როგორც სასწავლო პროცესის წარმართვაზე, ასევე მომავალი თაობის აღზრდასა და განვითარებაზე?

_____

_____

_____

4.რა სახით ვლინდება თქვენს მუშაობაში მშობელთა კომუნიკაციასთან დაკავშირებული სირთულეები?

_____

_____

_____

5.რამდენად ხშირად აწვდით ინფორმაციას მშობლებს თავიანთი შვილების აკადემიური მოსწრებისა თუ ქცევების შესახებ?

ა) იშვიათად;
ბ) ხშირად;
გ) ყოველთვის.

6.რას მიიჩნევთ მთავარ ამოცანად მშობლებსა და სკოლას შორის კომუნიკაციასთან დაკავშირებული სირთულეების აღმოსაფხვრელად?

_____

_____

_____

7.როგორ ფიქრობთ ახდენს თუ არა ოჯახური კონფლიქტები გავლენას მოსწავლეთა კარგ განწყობასა და სწავლის ხარისხზე?

ა) მნიშვნელოვნად;
ბ) ნაწილობრივ;
გ) სრულიად არა.

8.მოუმართავთ თუ არა მშობლებს სკოლისათვის რაიმე ინიციატივით?

ა). დიახ
ბ) არა

9.თქვენი აზრით შეიძლება ესწრებოდნენ თუ არა მშობლები თავიანთი სურვილით შვილებს გაკვეთილებზე?

_____

_____

10.შეიძლება თუ არა მშობლებთან კომუნიკაციის სირთულეები აღმოიფხვრას დაწყებით კლასებში?
ა) დიახ
ბ)არა

გამოყენებული ლიტერატურა

1.(G-PRIED ,,მშობელთა ჩართულობა“რეკომენდაციები დირექტორებისა და მასწავლებლებისათვის. 2014წ.გვ.4)

2. მასწ.წიგნი 9. ,,აღზრდა-ამოუწურავი თემა’’2018 წ. ’გვ.204.

3. მასწავლებლის წიგნი 9. ,,ბავშვის ბუნების ფენომენი და აღზრდის პრობლემები“ 2018 წ. გვ.182-184

4. სასწავლო და პროფესიული გარემო. ნაწილი 3 გვ.130. დამხმარე სახელმძღვანელო, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი.2008წ.

5. თომას გორდონი ,,როგორ გავხდე კარგი მშობელი’’გვ.77-78

6.ლიდერობის აკადემია 2. მოდული 6.

7. ეფექტური სწავლება სკოლაში: კვლევაზე დაყრდნობით შემუშავებული მეთოდები, რომლებიც აუმჯობესებენ მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებას. რობერტ ჯ.მარზანო, დებრა ჯ.ფიქერინგი, ჯეინ ი.ფოლოქი

8. ლიკა ლობჟანიძე. ,,როგორ ჩავატაროთ პედაგოგიური კვლევები“ ინტერნეტჟურნალი ,,მასწავლებელი“ 2012. 3 მაისი

---

[1]--ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016წ.

[2]--თეა ჯაღიაშვილი- ,,ჰუმანისტური თეორია“, თბილისი2012 წ.

[3]--შოთა ნადირაშვილი, ,,პიროვნების ფორმირების ფსიქოლოგიური საკითხები“

[4]--შოთა ნადირაშვილი, ,,პიროვნების ფორმირების ფსიქოლოგიური საკითხები“, ი. გოგებასვილის სახელობის პედაგოგიურ მეცნიერებატა ინსტიტუტის შრომები, 2002 წ.

[5]--,,სკოლაში სააღმზრდელო მუშაობის აქტუალური პრობლემები“ თბილისი, 2002წ.

[6]--ანა ჯანელიძე ,,მშობლებთან თანამშრომლობა- გამოწვევა მასწავლებლებისათვის“, მასწავლებლის წიგნი 2.